პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 23 აპრილი № 95 (16832) ფასი 2 კაპ. 1977

მოსკოვი. 22 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში შედგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისადმი. სურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში. სკკდეს-საინფორმის ტელეფოტო.

ლენინური იდეების ერთგულება

ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები

მოსკოვში

ღირსშესანიშნავ დროს ხვდება საბჭოთა ხალხი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — გენიალური რევოლუციონერისა და მოაზროვნის, კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, მსოფლიო პროლეტარიატის აღიარებული ბელადის დაბადების 107-ე წლისთავს.

„გადის დრო, იცვლება ვითარება, დგება ახალ-ახალი ამოცანები, მაგრამ გზა, ლენინმა რომ გვიჩვენა, იყო და არის ერთადერთი სწორი, ერთადერთი უტყუარი გზა“, — აღნიშნა სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

22 აპრილს ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის წარმოების მოწინავენი, პარტიის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომას დაესწრნენ უცხოელი დიპლომატები, საზღვარგარეთელი სტუმრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

17 საათზე სხდომის მონაწილეები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, კ. თ. კატუშევს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. პ. რიაბოვს.**

პრეზიდიუმში არიან აგრეთვე — ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი,** ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **რ. არისმენდი,** ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე **შ. ა. დანგე,** კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ხ. ვეირა,** ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი **ლ. კორვალანი,** ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. კ. პრესტესი.**

აქვე არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის სოფლის კომიტეტის მდივნები, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო მხედართმთავრები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ვ. გრიშინმა.**

შესრულდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მოხსენება „ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ვ. ზიმიანინმა.**

მოხსენება ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

თბილისში

ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 22 აპრილს გაიმართა თბილისში. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრეწველობის ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.**

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აპლოდისმენტებით აღიარეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავის შეადგინა გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. ჩხეიძემ.** მან ალაპარაკა იმ დიდ გზაზე, რომელიც საბჭოთა ხალხმა გამოიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის ბრძნულ და სწორ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე მშვიდობისათვის, ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის წარმატებებზე, მთელ მსოფლიოში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გამარჯვებებზე. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 60 წლის მიღწევები, თქვა მან, თვალსაჩინოდ მოწმობს ლენინური მოძღვრების გამარჯვებას, მის დიად ცხოველმყოფელ ძალას.

სხდომის მონაწილეებს გაუმარჯოს დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა. (საქინფორმი).

ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა

ამხანაგ მ. ვ. ზიმიანინის მოხსენება მოსკოვში ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე

ამხანაგებო! ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასმეშვიდე წლისთავი აღინიშნება ღირსსახსოვარ დროს, როცა საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშრომელები ემზადებიან ზეიმით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ლენინი და ოქტომბერი... ჩვენ მუდამ ერთად ვახსენებთ ხოლმე ამ სიტყვებს, რომლებიც უსაზღვროდ ძვირფასი და წმიდათაწმიდაა ჩვენთვის. ლენინი და ოქტომბერი განუყოფელია, ისინი განასახიერებენ ყველაზე მკვეთრ შემობრუნებას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში — რევოლუციურ გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე.

ისტორიას არაერთხელ დაუდასტურებია, თუ რა უდიდეს მოღვაწეებს შობს ხალხთა უდიდესი მოძრაობები. უმაგალითო ძალისა და გაქანების რუსეთის რევოლუციურმა მუშათა მოძრაობამ შვა ბელადის ბუმბერაზი პიროვნება, რომელიც სავსებით შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების ახალი ეპოქის მოთხოვნებს, ეპოქისა, ოქტომბრის რევოლუციამ რომ დაიწყო. ლენინის სიდიადე განიზომება მხოლოდ რევოლუციათაგან ამ უდიდესი რევოლუციის მასშტაბით, ხოლო ოქტომბრის გამარჯვების მნიშვნელობასა და მსოფლიო-ისტორიულ შედეგებს მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით, თუ ლენინის იდეებსა და მოღვაწეობას გავიაზრებთ.

რუსეთისა და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის აღიარებული ბელადი განასახიერებდა მის საუკეთესო თვისებებს: ძლიერ, მაძიებელ გონებას, უშრეტ ენერგიასა და უდრეკ ნებისყოფას, რევოლუციური საქმის თავდადებულ ერთგულებას, ექსპლოატატორებისადმი კლასობრივ შეურიგებლობას, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის ბრძოლაში გამბედაობასა და თავგანწირვას, თანამიმდევრულ პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს.

ლენინის მოძღვრება და საქმე უკვდავია. რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების გენია, ლენინი ცოცხლობს მის მიერ შექმნილი პარტიის საქმეებში. კომუნისტთა თაობები იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ, რადგან ლენინის იდეებით ხელმძღვანელობდნენ და მისი დიადი მაგალითი შთაგონებდათ. „ლენინი ჩვენთვის მარტო იმიტომ კი არ არის ძვირფასი, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ ჩვენი რევოლუციის დროშა, ჩვენი პარტიის დამაარსებელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელია. იგი ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელია იმიტომაც, — და, შესაძლოა, განსაკუთრებით იმიტომ, — რომ მისი გამჭრიახი შემოქმედებითი გონება და უძლეველი ლოგიკა, ანალიზის სიღრმე და გაბედული დასკვნები და მოქმედება, რევოლუციონერის დაუცხრომელი მგზნებარება და ამასთანავე უდიდესი ადამიანურობა, უბრალოება და გულისხმიერება — ყოველივე ეს ჩვენთვის იყო და იქნება ცხოვრების ორიენტირი, ფასდაუდებელი ბურჯი და დახმარება დღევანდელ საქმეებში“.

ლენინი ცოცხლობს სკკპ XXV ყრილობის ბრძნულ გადაწყვეტილებებში, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ ნაყოფიერ მოღვაწეობაში. ლენინი ცოცხლობს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძლიერებაში, ჩვენი ხალხის დიად მიღწევებში. ლენინის დროშით შეიქმნა და სულ უფრო მტკიცდება სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობა, ვითარდება საერთაშორისო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიმდინარეობს წარმატებული ბრძოლა სოციალური პროგრესისათვის, მტკიცე და ნამდვილად საყოველთაო მშვიდობისათვის.

ლენინიზმი თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, ცხოვრებით შემოწმებული მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის თეორია და მეთოდია!

1. ლენინიზმი მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის თეორია და მეთოდია

ამხანაგებო! ყოველთვის, როცა ვლადიმერ ილიას ძის დაბადების დღეს აღვნიშნავთ, ჩვენ ამით მარტოოდენ უდიდეს პატივს კი არ მივაგებთ მას, როგორც რევოლუციონერსა და მოაზროვნეს. ლენინისებურად ვამოწმებთ ჩვენი წინსვლის გზას, ლენინი გვაძლევს თანამედროვეობის კარდინალური პრობლემების სწორი გაგებისა და გადაწყვეტის გასაღებს. ლენინისაგან სწავლობენ მთელი მსოფლიოს კომუნისტები სოციალური განვითარების პროცესების ღრმად გაანალიზების ხელოვნებას, მათი ახლო და შორეული პერსპექტივის ხედვას, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის სწორ ორიენტირებას ახალი საზოგადოების აშენებისათვის, კომუნისტური იდეალებს განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დიდი რუსი მამულიშვილი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა, როცა თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევამ მკვეთრად გაამწვავა ექსპლოატატორული საზოგადოების ყველა წინააღმდეგობა — როგორც შინაური, ისე საერთაშორისო. დღის წესრიგში აუცილებელ პრაქტიკულ ამოცანად დადგა მარქსიზმის ფუძემდებელთა მიერ მეცნიერულად განვრეტილი საკითხი — სოციალიზმით კაპიტალიზმის რევოლუციური შეცვლის საკითხი.

ლენინმა — პროლეტარულმა რევოლუციონერმა, რომელმაც მეცნიერული ცოდნის მწვერვალებს მიაღწია და ურყევად სწამდა მარქსისტული მოძღვრების ისტორიული სიმართლე, დაიცვა. იგი ყოველგვარი ოპორტუნისტული დამახინჯებისაგან, დაიცვა როგორც მუშათა კლასის მძლავრი იდეურ-პოლიტიკური იარაღი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინმა ზედმიწევნით იცოდა მატერიალისტური დიალექტიკა, რომელსაც მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ცოცხალ სულს უწოდებდა, და საფუძვლიანად გააშუქა მისი, როგორც მეცნიერული თეორიის, სინამდვილის შემეცნებისა და რევოლუციური გარდაქმნის უნივერსალური მეთოდის შემოქმედებითი არსი, გაამდიდრა მარქსიზმი, ყველა მისი შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული სოციალიზმი — ახალი, პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი განზოგადებებითა და აღმოჩენებით.

მარქსიზმის ერთგულება, სოციალისტური რევოლუციის, ახალი საზოგადოების მშენებლობის თეორიის, ახალი ტიპის პარტიის შესახებ მოძღვრების ყოველმხრივი განვითარება, ხალხთა მასების პრაქტიკასთან მეცნიერების დასკვნების ორგანული შერწყმა, კომუნისტური პარტიის შემქმნელის, რევოლუციის ბელადის, მსოფლიოს პირველი მშრომელთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორის ტიტანური მოღვაწეობა — აი, რით გამოირჩევა ლენინი მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა სახელოვან კოჰორტაში როგორც უდიდესი სწავლული და რევოლუციონერი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ყოველივე, რაც კი რამ არის ნათელი და კეთილი საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის შეგნებასა და გულში.

მარქსიზმი და ლენინიზმი შეუძლებელია გაწვაცალკეოთ, მით უმეტეს — დავუპირისპიროთ ერთმანეთს. ისინი ქმნიან ერთიან მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, რომელიც ღრმად აშუქებს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესებსა და მიზნებს, მეცნიერებას, რომელიც ახალი საზოგადოების შექმნის ერთადერთ სწორ გზას გვისახავს.

ჩვენს დროში, როცა სოციალისტური წყობილება რეალობად იქცა დედამიწის ერცელ ტერიტორიებზე, მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავლენა სწრაფად იზრდება. იგი კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად შთააგონებს მილიონობით შეგნებულ პროლეტარს, ყველა კონტინენტის მშრომელებს. მას შეჰყურებენ კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის უღლისაგან ვანთავისუფლებული ბევრი ქვეყნის ხალხები, რომლებიც ახალი, სამართლიანი საზოგადოების, უმჩაგვრელო და ექსპლოატატორო საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლის გზას აღგანან. ყოველივე ამით ელინდება მარქსის, ენგელსის, ლენინის მიერ შექმნილი სოციალიზმის მოძღვრების უძლეველი ძალა, მოძღვრებისა, რომელიც პრაქტიკულ განხორციელებასთან ერთად მთელ მსოფლიოს უჩვენებს თავის სიმართლესა და სოციალურ ეფექტიანობას.

თვითონ ცხოვრება გვარწმუნებს, რომ თანამიმდევრულად რევოლუციური, ნამდვილად მეცნიერული შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც მთლიანი მოძღვრების, ფილოსოფიური, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრინციპები. ეს მოძღვრება, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს ფოლადის ერთი ზოდისაგან არის ჩამოსხმული. მას ვერ მოაკლებ ვერცერთ ამოსავალ დებულებას, ვერცერთ არსებითს ნაწილს, ჭეშმარიტების დაუმახინჯებლად.

მაგრამ ლენინიზმი, მეცნიერული აზრის უმაღლესი მიღწევა, სინამდვილის ფაქტების ზუსტი და ყოველმხრივი ანალიზის შედეგი, მშრალი, უსიცოცხლო დოქტრინა არ არის. ლენინის შემოქმედებაში განუყოფელად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი პროცესების კვლევის ზუსტი ობიექტურობა და მგზნებარე პროლეტარული რევოლუციურობა. სოციალისტური რევოლუციის გენიალური თეორეტიკოსი, ლენინი ამავე დროს მისი უდიდესი სტრატეგი, ტაქტიკოსი, მებრძოლი იყო.

სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოჭედა და გამოაწრთო მან ბოლშევიკური პარტია. მის გმირულ საქმიანობაში პირველად შეისხა ხორცი იმ ზოგადი მნიშვნელობის იდეოლოგიურმა, პოლიტიკურმა და ორგანიზაციულმა პრინციპებმა, რომლებზეც ახლა თავიანთ მუშაობას ამყარებენ მუშათა კლასის სხვა რევოლუციური პარტიები. ლენინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, რომლის მეოხებით შეიქმნა და განმტკიცდა მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, დაიწყო რეალური სოციალიზმის დამკვიდრება.

XX საუკუნის ისტორიის მთელი მსვლელობა ადასტურებს ეპოქის სიღრმისეული პროცესების არსში ლენინის ჩაწვდომის არაჩვეულებრივ ძალას, მისი მეცნიერული ბრეტის უდიდეს ნიჭს. ყველა ქვეყნის რევოლუციონერთა კუთვნილებად იქცა იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, მოძღვრება პროლეტარიატის ჰეგემონიისა და მისი კლასობრივი კავშირების შესახებ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათისა და პერსპექტივების, დემოკრატიისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთიანობის შესახებ. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა დებულება მთელი მეშარცხენე, დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნაში, სოციალისტური რევოლუციის მასობრივი პოლიტიკური არმიის ფორმირებაში, მშრომელთა ძალაუფლების დამყარებისა

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მოგილოცავთ!

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ილია ნესტორის ძე ვეკუა დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 22 აპრილი.

აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას

დიდად პატივცემულო და ძვირფასო ილია ნესტორის ძევ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულთბადად გილოცავენ თქვენ, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, დაბადების სამოცდამეათე წლისთავს და ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

ნახევარი საუკუნეა თქვენ უანგაროდ ემსახურებით დიადი სოციალისტური სამშობლოს მეცნიერებას, უდიდესი წვლილი შეიტანეთ სამამულო მათემატიკისა და მექანიკის განვითარებაში, მთელი ქართული მეცნიერებას შემდგომ აღმავლობაში. თქვენ — მათემატიკის მეცნიერების კორიფეს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ერთ-ერთი უნაკლოესი მოწაფე, მასთან და რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო მეცნიერებთან ერთად მკლავმოუღლელად უურადღით მტკიცე საფუძველს, ავითარებდით საქართველოდან განთქმულ ქართულ მათემატიკურ სკოლას, დღეისადაგ ზრუნავდით საბჭოთა საქართველოსა და მთელი ჩვენი ქვეყნის მეცნიერული კადრების აღზრდისათვის. გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად თქვენ დაგაარსეთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება, შექმენით და მრავალ წელს ხელმძღვანელობდით ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტს, იყავით თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.

მას შემდეგ, რაც 1972 წელს ხათავეში ჩაუდექით ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული აზრის შტაბს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, თქვენ სწავლულისა და ორგანიზატორის მთელ ტალანტს, მჩქეფარე ენერგიას დაუცხრომლად ახმართ ქართული სოციალისტური მეცნიერების შემდგომ აყვავებას, წარმართავთ მას იმ გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებას საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ისტორიულმა XXV ყრილობამ დაუსახეს.

როგორც სახელოვანი მამულიშვილმა, მეცნიერმა და კომუნისტმა, საზოგადო მოღვაწემ, თქვენ ხალხის საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოიხვეჭეთ, ღირსეულად წარმოადგენთ რესპუბლიკას ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ყველას გვახარებს, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელმწიფემ ღირსეულად დააფასეს თქვენი თვალსაჩინო წვლილი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში და მოგანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, დაგაჯილდოვეს ხუთი ლენინის ორდენით. „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

თქვენი სამოცდამეათე წლისთავის დღეს გისურვებთ, ძვირფასო ილია ნესტორის ძევ, შემდგომ დიდ წარმატებებს ნაყოფიერ მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ქართული საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ, გისურვებთ დიდ პირად ბედნიერებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ე. ა. შევარდნაძე	პ. გ. გილაშვილი	ზ. ა. პატარიძე

ვიზიტი დამთავრდა

პაშეზ ასადი თბილისიდან გაემგზავრა

22 აპრილს თბილისიდან დამასკოში გაემგზავრა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი.

სირიის არაბთა რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჰაფეზ ასადი თვითმფრინავამდე მიაცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

გაცილებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. თ. ილიაშენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ო. კიკნაძე, სირიის არაბთა რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩი ი. ნ. ჩერნიაკოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ვ. ხაბეიშვილი. სხვა ოფიციალური პირნი.

(დასასრული მე-4 გვ.)

ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა

(გაგრძელება).

და ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის წამყვანი როლის შესახებ.

მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებამ დაადასტურა, რომ სწორი და შორმსჭვრეტელურია ლენინური დებულებები პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების გზებისა და ფორმების შესახებ. კომუნისტები თავიანთი ჰუმანური მსოფლმხედველობის გამო, ბუნებრივია, უპირატესობას მშვიდობიან გზას ანიჭებენ. მაგრამ მათ კარგად იციან, რომ რევოლუციის გზის არჩევას კლასობრივი ძალების თანაფარდობა განსაზღვრავს. მათ კარგად იციან, რომ ბურჟუაზიას ნებაყოფლობით არასოდეს არ უთქვამს უარი ძალაუფლებაზე. ამიტომ მათ სავალდებულოდ მიაჩნიათ საომარი გარანტიების შექმნა კონტრრევოლუციური ტერორის წინააღმდეგ. მუდმივი სიფხიზლე, იმისათვის მზადყოფნა, რომ სწრაფად შეცვალონ ბრძოლის სხვადასხვა — მშვიდობიანი და არამშვიდობიანი — ფორმები.

დიდი ოქტომბრის, ჩვენი დროის სხვა ძლევამოსილი რევოლუციების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცხოველმყოფელია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის, როგორც ახალი საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული მისიის, პროლეტარიატის დიქტატურის — სოციალიზმის აშენების, მშრომელთა მონაპოვრების დაცვის უმნიშვნელოვანესი იარაღის აღმშენებლობითი არსის შესახებ ეს გამოცდილება მოწმობს, რომ სოციალისტური დემოკრატიის არსებობა და განვითარება შეუძლებელია, თუ გადაჭრით არ აღიკვეთა ბურჟუაზიის ცდები — ძალით დაიბრუნოს დაკარგული კლასობრივი პრივილეგიები.

ვ. ი. ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ მომავალი სოციალისტური რევოლუციები, უეჭველია, ზოგიერთი თავისებურებათ განსხვავებული იქნება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რევოლუციისაგან. ამავე დროს იგი ხაზს უსვამდა, რომ ეს თავისებურებები არ შეეხება უმთავრესს, რადგან რუსეთის ძირითადი კლასობრივი ძალები და საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ფორმები იგივე იყო, რაც ნებისმიერ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

დრომ ბელადის ამ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებაც დაადასტურა. ოქტომბრის რევოლუციის, საბჭოთა კავშირში ახალი საზოგადოების მშენებლობის მთავარი ნიშნები გამოვლინდა ავრეთვე როგორც ძალაუფლებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ზოგადი კანონზომიერებები. სოციალისტური აღშენებლობის გზაზე დამდგარი ბევრი ხალხის რევოლუციურმა პრაქტიკამ უარყო ბურჟუაზიული იდეოლოგიებისა და რევიზიონისტების მტკიცება საბჭოთა გამოცდილების „ეროვნული განსაკუთრებულობის“ შესახებ, მათი მონაჭორები ლენინიზმის, როგორც „წმიდა წყლის რუსული“ მოვლენის შესახებ. მომძლე ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური თეორიით ხელმძღვანელობენ, თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს.

ამით დადასტურდა, რომ რევოლუციის განვითარებისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის ძირითადი კანონზომიერებები, რომლებსაც მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, მომძლე პარტიების, კოლექტიური მეცადინეობა აშუქებს, თავიანთი არსით ობიექტური და ზოგადი მნიშვნელობისაა. მუშათა კლასის ბრძოლის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება ის არის, რომ შემოქმედებითად გამოვიყენოთ და განვავითაროთ რევოლუციური თეორია ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული მოთხოვნებისა და ამა თუ იმ ქვეყნის პირობების შესაბამისად. ამის დავიწყებას შეიძლება მემარჯვენული ან ცრუმემარცხენული ოპორტუნისტული შეცდომები მოჰყვეს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს მუშათა მოძრაობას.

ოქტომბრის გამარჯვება, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ვარრმავება, სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობის წარმოქმნა, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გავლენის ზრდა, ერთი სიტყვით, თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა ადასტურებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი საყოველთაოდ მისაღები და ქმედითია ავრეთვე როგორც თეორია, როგორც მეთოდი. ეს მოძღვრება ნიადაგ ვითარდება, ახალი განზოგადებებითა და დასკვნებით ივსება, რომლებიც კლასობრივი ბრძოლების და რევოლუციური აღმშენებლობის ქარცეცხლში იშვა და შემოწმდა.

ლენინი მოგვიწოდებდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, ახალი საზოგადოების მშენებლობის საკითხები გადაგვეწყვიტა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა გამოცდილების გათვალისწინებით, ანგარიში გაგვეწია მათი ცოდნისათვის, მათი ნებისათვის. ვლადიმერ ილიას ძის გენიამ გადაადნო ყველაფერი, რაც საუკუნეთა რევოლუციურმა აზრმა მოგვცა, ყველაფერი, რაც გამოიცადა მშრომელთა კლასობრივ ბრძოლებში, მოპოვებულია რევოლუციონერთა მრავალი თაობის მსხვერპლისა და გმირული მეცადინეობის, დამარცხებებისა და გამარჯვებების საგულისხმო გაკვეთილების ფასად. მუშათა კლასის მსოფლიო რევოლუციური გამოცდილება, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გამოცდილება, ხატოვნად რომ ვთქვათ, ლენინიზმის მატერიალური საფუძველია.

კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა, ჩვენი ქვეყნის ხალხმა, რომელსაც წილად ხვდა უდიდესი პატივი და უდიდესი სიძნელე სოციალისტური მშენებლობის პირველმკალავი და მოწინავე რაზმი ყოფილიყო მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უდიდესი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო რევოლუციური გამოცდილების საგანძურში. ეს გამოცდილება, ამბობდა ლენინი, „შესულია ისტორიაში, როგორც სოციალიზმის მონაპოვარი, და მომავალი საერთაშორისო რევოლუცია თავის სოციალისტურ შენობას ამ გამოცდილების საფუძველზე ააგებს (თხზ. კრებ. ტ. 27, გვ. 502) და დღეს ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი, რომლებიც აშენებენ კაცობრიობის ისტორიაში პირველ კომუნისტურ საზოგადოებას, ინარჩუნებენ და ავითარებენ ოქტომბრის გმირ მებრძოლთა რევოლუციური ნოვატორობის სულისკვეთებას.

ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნისტთა ახალ თაობებს ზრდის რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეობითობისა და მუშათა კლასის, საერთო, ინტერნაციონალური საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. იგი დიდი ყურადღებითა და ინტერესით ეკიდება ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის საქმიანობას, სწავლობს და იყენებს მათ გამოცდილებასა და მიღწევებს.

ჩვენი პარტია თანამიმდევრულად იღვწის მომძლე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობისა და სოლიდარობის განსამტკიცებლად ერთობლივ ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალიზმის ერთიერთშობილური იდეალებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. პარტიას მიაჩნია, რომ მათი მეცადინეობის გაერთიანება რევოლუციური გამოცდილების განზოგადებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის, როგორც მუშათა კლასის ინტერნაციონალური კეთილდღეობის, შემდგომი განვითარების საქმეში კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამშრომლობის მნიშვნელოვანი სფეროა.

ლენინიზმი მომაღლისაკენ მიმსწრაფი აღმშენებლობის მეცნიერებაა. მისი ცხოველმყოფელი ხასიათი შეესაბამება თვით სოციალისტური რევოლუციის შემოქმედებითს ბუნებას. ოქტომბრის რევოლუციამ მასებს გაუღვივა ცხოვრების ახალი წყობის შემოქმედების, პრინციპულად ახალი ტიპის საზოგადოების, განთავისუფლებული შრომის საზოგადოების მშენებლობის წყურვილი. სწორედ აქ არის ის მთავარი წყარო, რასაც ლენინი „რუსული რევოლუციის მომხიბვლელობას“ უწოდებდა. ლენინიზმმა მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს ბრძოლის ნათელი პერსპექტივა დაუსახა, სოციალისტური მშენებლობის მეცნიერული პროგრამით შეაიარაღა.

ლენინიზმი მებრძოლი მსოფლმხედველობაა. ლენინიზმი გამანადგურებელ ლახვარს სცემს პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს, ამხილებს იმპერიალიზმის ექსპლოატატორულ არსს, ბურჟუაზიული საზოგადოების სიყალბესა და პირფერობას, მის ფილოსოფიასა და მორალს. კლასობრიობა, პარტიულობა ლენინიზმის, ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა.

ტღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ კვლავაც ურყევია პრინციპული ლენინური დებულებები ისტორიის მამოძრავებელი ძალებისა და კანონების შესახებ. რევოლუციური ბრძოლა, სოციალური პროგრესი მსოფლიო განვითარების პერსპექტივების ლენინურ შეფასებათა კალაპოტით მიედინება. აი რატომ დგანან ლენინიზმის ნიადაგზე ნამდვილი რევოლუციონერები, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლები, სოციალიზმისათვის მებრძოლები. ლენინიზმს შორდებიან, ლენინიზმის რევიზიას ცდილობენ ისინი, ვინც ღალატობს სოციალისტური რევოლუციის საქმეს, ვინც ოპორტუნიზმის, ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზას ადგება. და დღესაც, ისევე როგორც ათწლეულების წინათ, ლენინისადმი, ლენინიზმისადმი დამოკიდებულება ჭეშმარიტი რევოლუციონერობის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისადმი ერთგულების სასინჯარია.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ მოწინავე მებრძოლის როლი მხოლოდ იმ პარტიას შეუძლია შეასრულოს, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ამუშავებენ თეორიულად თანამედროვე მსოფლიო განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ამდიდრებენ და შემოქმედებითად ავითარებენ ჩვენს რევოლუციურ მეცნიერებას. პარტიის უდიდესი და ნაყოფიერი თეორიული საქმიანობა კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს მისი ყრილობების, პლენუმების მასალებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, სხვა პარტიულ დოკუმენტებში.

ლენინიზმი მარად ცოცხალი, განვითარებადი მოძღვრება, ჩვენი პარტიის მთელი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის საფუძველია. ლენინიზმისადმი, მისი მძლავრი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულისკვეთებისადმი ერთგულება კომუნისტთა პოლიტიკის ქმედითობის გარანტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ყველა მომძლე პარტიის ძალის უშრეტი წყაროა.

2. განვითარებული სოციალიზმის აშენება პარტიის ლენინური კურსის დიადი გამარჯვებაა

ამხანაგებო! აი უკვე სამოცი წელია ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მიდის კაცობრიობის სოციალური პროგრესის ავანგარდში, ახორციელებს კომუნისტურ იდეალებს, დიდი ლენინის ანდერძს. მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა სკკპ XXV ყრილობა, რომლის იდეებსა და გადაწყვეტილებებში ხორცშესხმულია პარტიისა და ხალხის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური გონება. ყრილობამ ღრმად და ყოველმხრივ გააშუქა მათი გრანდიოზული რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის შედეგები, განსაზღვრა მეათე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივებისათვის ჩვენი განვითარების ძირეული ამოცანები. ამასთან ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი იმით ხელმძღვანელობენ, რომ საბჭოთა კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თანდათანობით გადადის კომუნისტურში, იმ საზოგადოებაში, რომლის ძირითადი ნიშნები ლენინმა ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის გარიჟრაჟზე განჭვრიტა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სხვა მომძლე პარტიების მიერ განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემუშავება დიდი შემოქმედებითი წვლილია მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ გარდამავალი პერიოდის დამთავრების, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრული გამარჯვების შემდეგ იწყება განვითარებული სოციალიზმის მშენებლობა, სოციალიზმი გარდაიქმნება მთლიან, მაღალორგანიზებულ სოციალურ სისტემად. განვითარებული სოციალიზმი საზოგადოებრივი პროგრესის შედარებით ხანგრძლივი ხანაა, რომელსაც დამახასიათებელი თავისებურებები და პრობლემები აქვს. ამ ეტაპზე ახალი წყობილების განვითარება საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ და იდეურ-პოლიტიკურ საფუძველზე მიმდინარეობს, და შემდგომი წინსვლა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის სულ უფრო ჰარმონიულ განვითარებას მოითხოვს.

„მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის შექმნამ, — აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — ახლებურად დააყენა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების ბევრი ამოცანა. ახლა სულ სხვაგვარი გახდა როგორც ჩვენი შესაძლებლობები, ისე საზოგადოებრივი მოთხოვნილებები. მიმდინარეობს პარტიისა და ხალხის პრაქტიკული საქმიანობის მრავალი მხარის ღრმა გარდაქმნა. ლაპარაკია უდიდესი მასშტაბის საქმეებზე, რთულ, საქმეებზე, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის, ისე თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, ყოველი საბჭოთა ოჯახისათვის“.

პარტიის კურსი, რომელიც მისმა XXV ყრილობამ განსაზღვრა, საშუალებას გვაძლევს უშუალოდ გადავწყვიტოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, მეცნიერებისა და კულტურის, საბჭოთა ცხოვრების წესის განვითარებას, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას.

ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე პირობებში სოციალისტური მეურნეობრიობის ლენინური პრინციპების ხორცშესხმა და განვითარებაა. იგი მიზნად ისახავს ფუნდამენტური, ხანგრძლივი მიზნების მიღწევას, რომელთა შორის უმაღლესია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. ყრილობამ ღრმად და ყოველმხრივ დაასაბუთა ამ მიზნების რეალიზაციის გზები და საშუალებები — საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

პარტიის XXV ყრილობის სტრატეგიული გეზი კიდევ უფრო დაკონკრეტდა და განვითარდა ლენინიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე, გმირ ქალაქ ტულაში და პროფკავშირთა XVI ყრილობაზე. მათში განსაზღვრულია მეათე ხუთწლედის საკვანძო პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტის გზები, რომლის ძირითადი თავისებურება გამოხატულია ლაკონიური და ზუსტი ფორმულით — ეფექტიანობა და ხარისხი.

ლენინი გვასწავლის, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეიძლება მხოლოდ ყველაზე მოწინავე ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საფუძველზე. ახლა საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ისეთ ეტაპზე ვართ, როცა მისი ზრდის ტემპის დაჩქარებასა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ სამეურნეო განვითარების ინტენსიური ფაქტორების უფრო ფართო გამოყენების გზით. ეს გულისხმობს პროგრესულ ძვრებს წარმოების სტრუქტურაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების დაჩქარებულ განვითარებას, დაგეგმვისა და მართვის სისტემის შემდგომ სრულყოფას, შრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროგრამების შესასრულებლად ძალებისა და სახსრების კონცენტრაციას.

პარტიის XXV ყრილობის იდეების მზარდ ზემოქმედებას ვგრძნობთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. წარმატებით დაიწყო მეათე ხუთწლედი. მისი პირველი წლის შედეგები მოწმობს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება სავსებით შეესაბამება ყრილობის დებულებებს. შარშან სსრ კავშირის საკრებულო წარმოების მოცულობამ საგეგმო დავალებებს გადააჭარბა.

მეათე ხუთწლედის ამ ერთ წელიწადსა და სამ თვეში ჩვენს ქვეყანაში წარმოებულია 670 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ორ პირველ ომისშემდგომ ხუთწლედში ერთად. ასევეა საბჭოთა ეკონომიკის ზრდის თანამედროვე მასშტაბი.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს წარმოების ტექნიკური განახლება, იზრდება ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება. ხუთწლედის პირველ წელს ათვისებულია და სერიულად დამზადდა სამი ათასზე მეტი ახალი, პროგრესული სახეობის სამრეწველო პროდუქცია.

1976 წელი პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის ახალი შესანიშნავი წარმატებებით აღინიშნა. ამინდის რთულ პირობებში სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მთელი ქვეყნის აქტიური მხარდაჭერით ღირსეულად გაიმარჯვეს პურისათვის ბრძოლაში. ძლევენ უმაგალითოდ გვალვიანი 1975 წლის შედეგებს, თუმცა ჯერჯერობით იგრძნობა სიძნელეები მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში.

წარმატებით ვითარდება ქვეყნის სახალხო მეურნეობა მიმდინარე, საიუბილეო წელს. პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 5,6 პროცენტით გაზრდა. გვაძლის გადაჭარბებით რეალიზებულია მილიარდ შვიდასი მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. სოფლის მშრომელებმა მთლიანად ცუდზე როდი გამოაზამთრეს პირუტყვი და ორგანიზებულად ეწევიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს, იღვწიან, რომ ყოველნაირად აამაღლონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობა და კულტურა.

განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. ხორციელდება პარტიისა და მთავრობის ამასწინანდელი დადგენილება არასაწარმოო სფეროს 31 მილიონი მუშაკისათვის ხელფასის მომატების შესახებ. ქვეყანაში სრულდება საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამა. შარშან საბინაო პირობები თითქმის 11 მილიონმა კაცმა გაუმჯობესა. თანამიმდევრულად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, იზრდება მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოება, უმჯობესდება მისი ხარისხი. რასაკვირველია, აქ არავითარი თვითდამშვიდება არ უნდა გამოვიჩინოთ, რადგან ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მაგრამ სავსებით უდავოა, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი გრძნობს მუდმივ ზრუნვას მისი კეთილდღეობისათვის, იმისათვის, რომ მისი ცხოვრება სულ უფრო უზრუნველყოფილი და შინაარსიანი ხდებოდეს.

მასების შრომითი ენთუზიაზმის ახალი აღმავლობა გამოიწვია პარტიის სპქმეებმა და გეგმებმა, რომლებიც კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიჯნების მიღწევას ისახავს მიზნად.

დღეს დიდი კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ავანგარდში არიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მშრომელები. მათ ლენინგრადელებთან ერთად გამოიჩინეს მეათე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის საკავშირო შეჯიბრების გაჩაღების ინიციატივა. შეჯიბრება ლოზუნგით — „ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი!“ — ფართოდ გააჩაღეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის, ყაზახეთისა და უზბეკეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა, იგი ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გახდა. „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!“ — ასეთია როსტოვის ოლქის მშრომელთა ინიციატივით გაჩაღებული მოძრაობის დევიზი. ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გამოეხმაურნენ ყუბანელ მხვნელ-მთესველთა თაოსნობას — უდიდესი მოსავლის მიღწევისათვის მოძრაობას, კიეველ მეცხოველეთა წამოწყებას — მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

თავისუფალი შრომის შესანიშნავი ზეიმი გახდა ტრადიციული კომუნისტური შაბათობა, რომელიც ლენინის დაბადების 107-ე წლისთავს და დიდი ოქტომბრის იუბილეს ეიძღვნა. მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 140 მილიონზე მეტმა მოქალაქემ.

საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიმუშია. „...მასებში, — ამბობდა ლენინი, — ბევრზე ბევრნი მოიპოვებიან ცოცხალი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ უზარმაზარი ნიჭი გამოიჩინონ უფრო მეტად, ვიდრე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ“ (თხზ. კრებ, ტ. 28, გვ. 203).

ეყრდნობა რა მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა ჩვენი კოლექტივისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემის სრულყოფისათვის. უკლასო კომუნისტური საზოგადოება ჩვენი იდეალია, და პარტია თანამიმდევრულად ქმნის მისი განხორციელების პირობებს. ჩვენი საზოგადოების სოციალური და ინტერნაციონალური ერთიანობის უკვე მიღწეული მაღალი დონის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. სულ უფრო მტკიცდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. მუშათა კლასის გადამწყვეტი გავლენით, კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით იშლება კლასობრივი მიჯნები, გრძელდება ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყველა მოძმე ერისა და ეროვნების აყვავება და შემდგომი დაახლოება, ქრება არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებს შორის, იქმნება საზოგადოების სრული სოციალური ერთგვაროვნობის წანამძღვრები.

კომუნისტური აღმშენებლობის პროცესში სულ უფრო სრულად ვლინდება ხალხის სულიერი ძალები. უკანასკნელი წლებისათვის დამახასიათებელია მეცნიერებისა და განათლების [illegible] ინტენსიური განვითარება. წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობასთან [illegible] კავშირი ერთიანობა. ხალხ-ეფექტიანობა [illegible] ისინი მზარდ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივი განვითარების მთელ მიმდინარეობაზე. ასრულებენ რა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სკოლა, ყველა სამეცნიერო დაწესებულება მთელ მეცადინეობას იქითკენ წარმართავენ, რომ აღმოაჩინონ საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობის, კვლევის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ახალი გზები და საშუალებები, კომპლექსურად შეისწავლონ და გადაწყვიტონ მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის პრობლემები. უმნიშვნელოვანესი სოციალური მონაპოვარია საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა.

საბჭოთა ხალხი ამაყობს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებით, მათი სულ უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი შინაარსით, ჟანრითა და სტილით, შემოქმედებითი ინდივიდუალობით. მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ოსტატები მუდამ პარტიასთან, მუდამ ხალხთან ერთად არიან, და ეს არის მათი შემოქმედების წარმატების საფუძველთა საფუძველი.

ამხანაგებო! სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, რომ ჩვენი უდიდესი მონაპოვარია საბჭოთა ადამიანი, რომელშიც შერწყმულია კომუნისტური მრწამსი და უდიდესი ცხოველმყოფელი ენერგია, მაღალი კულტურა, ცოდნა და მისი გამოყენების უნარი. საბჭოთა ადამიანი ნამდვილი პატრიოტი და ინტერნაციონალისტია. თავდადებული შრომით იგი განამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, შეუძლია დაიცვას თავისი მრწამსი, ხალხის ინტერესები, ფხიზელი და შეურიგებელია ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი. ამ თვისებების ჩანერგვა, მთელი იდეოლოგიური მუშაობა მუდამ დგას პარტიის ყურადღების ცენტრში. ამას კვლავ ადასტურებს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ბოლო ხანს მიიღო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების, ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის განვითარების შესახებ, შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ. პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ საქმიანობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობას.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნილებებისა და ამოცანების საფუძველზე სულ უფრო მტკიცდება და სრულყოფილი ხდება ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფო, ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, სულ უფრო აქტიურდება საბჭოელნი, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა. პროფკავშირების ამასწინანდელმა XVI ყრილობამ შთამბეჭდავად ცხადყო, თუ რა უდიდესი პოლიტიკური წონა და გავლენა აქვს ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მასობრივ გაერთიანებებს. ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ჩვენში მშრომელთა უფართოესი და უშუალო მონაწილეობით გახიხილავენ და წყვეტენ.

სოციალისტური დემოკრატიზმი კომუნისტური მშენებლობის მძლავრი მამოძრავებელი ძალაა. მის უდიდეს უპირატესობათა წყარო ის არის, რომ ისტორიაში პირველად ძალაუფლებასა და მართვა-გამგეობას თვითონ მშრომელები ახორციელებენ. სოციალიზმის დროს ნამდვილი დემოკრატიზმის პრინციპები საზოგადოებისა და ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის შრომისა და წარმოების სფეროზე ვრცელდება. სწორედ ძალაუფლების ხასიათისა და საკუთრების ხასიათის ძირეულმა გარდაქმნამ მოგვცა საშუალება, როგორც ლენინმა განჭვრიტა, რეალურად უზრუნველგვყო მშრომელთა ისეთი ფუნდამენტური უფლებები—თავისუფლებები, რომელთა გამო ბევრი ბურჟუაზიული კონსტიტუცია და ბურჟუაზიული პროპაგანდა ჯიუტად სდუმს. საქმე ეხება, მაგალითად, ექსპლოატაციისაგან თავისუფლებასა და შრომის უზრუნველყოფილ უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის, ყოველგვარი სოციალური უზრუნველყოფის უფლებას; უფასო განათლების უფლებასა და თვით ვალდებულებას. ეს და სხვა რეალური უფლება-თავისუფლებები, რომლებისთვისაც უკვე არაერთი საუკუნეა იბრძვიან კაპიტალის ქვეყნების შრომელები, ჩვენში საყოველთაო კუთვნილებაა.

სოციალიზმის დემოკრატია შეუთავსებელია როგორც ყაზარმულ-ბიუროკრატიულ წესებთან, ისე ხალხის ინტერესებისა და სოციალისტური მართლწესრიგის მიმართ ანარქიულ თვითნებობასთან. ნამდვილი დემოკრატიზმი — ეს არის ძაქსიმალურ გარანტიათა შექმნა იმისათვის, რომ ყველა მოქალაქემ განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლებები, და ამასთან მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, დისციპლინა და თვითეულის პასუხისმგებლობა თავისი საქციელისათვის, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისათვის. ასე აყენებდა ამ საკითხებს ლენინი. და სწორედ აი უდგებიან მათ ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

ამხანაგებო! ეკონომიკაში, ხალხის სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში მიღწეულის მწვერვალებიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდებულია ლენინის მოძღვრების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური, იდეურ-თეორიული და ორგანიზატორული საქმიანობის წარმატებები. დიადმა ლენინურმა პარტიამ ღირსეულად ვამოატარა ჩვენი ხალხი

(დასასრული მე-3 გვ.)

ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დოქტრინა

(დასასრული).

ყველა მრისხანე განსაცდელში, რომლებიც წილად ხვდა საბჭოეთს მისი განვითარების ექვსი ათეული წლის მანძილზე. სამოქალაქო ომი და უცხოეთის ინტერვენცია, შიმშილი და გაჩანაგება, გერმანიის ფაშიზმის ავაზაკური აგრესია — ყოველივე ამას ვაქცაცურად გაუძლეს საბჭოთა ადამიანებმა, რომლებსაც კომუნისტთა პარტია ხელმძღვანელობს. გაუძლეს და გაიმარჯვეს. გაუძლეს და ააშენეს ისტორიაში ყველაზე ჰუმანური საზოგადოება — განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, რომლის საფეხურებიც იყო უდიდესი აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტა — სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ლენინური კულტურული რევოლუცია.

თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო ფართოვდება საზოგადოებრივ პროცესებზე შეგნებული ზემოქმედების სფერო, როცა იზრდება ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური ამოცანების მასშტაბი და სირთულე, კომუნისტური პარტიის, როგორც ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლი კიდევ უფრო ძლიერდება.

ყველა ჩვენი წარმატება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იმ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის შედეგია, რომელიც ყოველმხრივ ითვალისწინებს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს, მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს, გამოხატავს ყველა მისი კლასისა და სოციალური ჯგუფის, ყველა ერისა და ეროვნების, ყველა თაობის ინტერესებს. პარტია ხედავს გადაუჭრელ პრობლემებს და აქტიურად რაზმავს მშრომელებს მათს გადასაწყვეტად. საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სწამთ, რომ პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის უზენაესი მიზანი სწორედ ის არის, რომ რაც შეიძლება სრულად განახორციელოს ისინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც განვითარებული სოციალიზმის პირობებში მთელი ხალხის პარტიად იქცა და ახლა თავის რიგებში 16 მილიონ კომუნისტს აერთიანებს, ბევრად გაიფართოვა შესაძლებლობანი მუშათა კლასის, როგორც ყველაზე მოწინავე და თანმიმდევრულად რევოლუციური კლასის, ისტორიული მიზნების რეალიზაციაში, რადგან იგი ეყრდნობა ყველა საბჭოთა ადამიანის ინტერესებისა და მსოფლმხედველობის ერთიანობას, ჩვენი საზოგადოების მძლავრ ეკონომიკურ და სულიერ პოტენციალს.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დიდი მუშაობა წარმოებს პარტიულ ორგანიზაციათა სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი, დამიანთა აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისათვის, მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პარტიის მთელ საქმიანობას მუდამ ახასიათებს მუშაობის ნამდვილად ლენინური სტილი, შემოქმედებითი, მეცნიერული სტილი, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული მაღალი იდეურობა, გერგილიანობა და კომპეტენტურობა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ სუბიექტივიზმსა და თვითკმაყოფილებას, უპირისპირდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ ჩვენი დიადი, ბრძენი და უშიშარი ლენინური პარტიით, მათ უსაზღვროთ სჯერათ პარტიის, ერთსულოვნად და მთლიანად უჭერენ მხარს მის პოლიტიკას.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად ისინი კიდევ უფრო ჰეროიზმად შეკავშირდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო. დიდი ლენინის საქმის დაუცხრომელი გამგრძელებელი, ლეონიდ ილიას ძე მთელ თავის ძალ-ღონეს, თავის უდიდეს ნიჭს ახმარს ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა პარტიის, ხალხის, სამშობლოს თავდადებული სამსახურის ნიმუშია. ყოველივე ამით ლეონიდ ილიას ძემ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდრმესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა და უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანში.

3. ლენინის მოძღვრება და თანამედროვე საერთაშორისო განვითარება

ამხანაგებო! თანამედროვე ეპოქის მძაფრ მოვლენებში სულ უფრო ღრმად ვლინდება გიგანტური რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალა ლენინიზმისა, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის მძლავრი ამჩქარებელი გახდა ჩვენს პლანეტაზე. დღეს არ არის ისეთი ქვეყანა ან ხალხი, რომლებსაც ასე თუ ისე არ განეცადოთ ლენინური იდეების, რეალური სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის კეთილნაყოფიერი გავლენა.

ლენინური განჭვრეტის გენიალობა მთელი სისრულით ვლინდება მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაში. ახლა მომძე პარტიები და სახელმწიფოები პრაქტიკულად ასხამენ ხორცს სოციალისტური ერების თანამშრომლობის ლენინურ იდეებს. ისინი ათანხმებენ და აერთიანებენ ღონისძიებებს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში, ავითარებენ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ თანამშრომლობას. ეს ყოველმხრივი ურთიერთმოქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპები, მრავალგზის ადიდებს თვითეული ქვეყნის მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

თავისუფალი ხალხების შთაგონებული შრომა, მათი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, რომლებსაც აძლიერებს ახალი წყობილების სოციალ-ეკონომიკური უპირატესობები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს საშუალებას აძლევს უზრუნველყონ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, მიაღწიონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივ პროგრესს, კულტურის აყვავებას. მსოფლიო სოციალიზმის აღმშენებლობით შესაძლებლობათა მკაფიო განსახიერებაა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია. სოციალისტურ ქვეყნებში არ არის კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი კრიზისები, ისინი დინამიკურად და განუხრელად ვითარდებიან.

სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი დაახლოება ვლინდება მსოფლიო ასპარეზზე მათს შეთანხმებულ მოქმედებაშიც მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ჩვენს სამშობლოს, მთელ სოციალისტურ თანამეგობრობას არასდროს არ ჰქონიათ ასეთი მტკიცე საერთაშორისო პოზიციები და გავლენა!

ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გაიზარდოს და განმტკიცდეს იმ მოძმე ხალხთა მძლავრი კავშირი, რომლებსაც აერთიანებს საერთო სოციალურ-ეკონომიკური წყობილება, საერთო ინტერესები, მსოფლმხედველობა და მიზნები, მშვიდობისადმი, დემოკრატიისა და სოციალიზმისადმი ერთგულება.

რეალური სოციალიზმის განმტკიცება, როგორც ლენინმა განჭვრიტა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროცესების გაძლიერებასა და გაღრმავებასთან. უკანასკნელ წლებში ახალი თვალსაჩინო წარმატებებით დაგვირგვინდა ბრძოლა იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ეს არის ინდოჩინეთის ხალხთა ისტორიული გამარჯვება იმპერიალისტურ აგრესორებზე, გმირი ვიეტნამის გაერთიანება. ეს არის აგრეთვე აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება, ანგოლის, მოზამბიკისა და სხვა პორტუგალიის ყოფილი კოლონიების ხალხთა გამარჯვება. ეს არის აგრეთვე კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული სახელმწიფოების პროგრესული როლი მსოფლიო პოლიტიკაში, მიუმხრობლობის მოძრაობა, რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიების განმტკიცება იმ ქვეყნებში, რომლებმაც სოციალისტური ორიენტაციის გზა აირჩიეს. ეს არის აგრეთვე მუშათა და საერთო დემოკრატიული მოძრაობის განუხრელი აღმავლობა იმპერიალიზმის ციტადელებში, ევროპაში უკანასკნელი ფაშისტური რეჟიმების დამხობა.

ჩვენ შეგვიძლია, ღრმა კმაყოფილების გრძნობით ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებით, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად, თავისი მრავალმხრივი დახმარებით, თავისი სოლიდარობით აქტიურად უჭერდა და კვლავაც უჭერს მხარს ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას, გამოდის როგორც თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ერთგული მოკავშირე. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ახალი წარმატებები თვალნათლივ ცხადყოფს ანტიიმპერიალისტური ფრონტის ყველა რაზმის ძმური სოლიდარობის ქმედითობას.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლასა და მშვიდობის საქმეს უშუალოდ ვნებს ჩინეთის ცნობილი პოზიცია, სადაც, სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს არავითარი ცვლილება არ მომხდარა. პეკინში კვლავ ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო დაძაბულობა და პირი შეკრან ყველაზე რეაქციულ ძალებთან, აღვივებენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. ასეთი პოლიტიკა აშკარად ეწინააღმდეგება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს. და უწინარეს ყოვლისა თვით ჩინელი ხალხის ინტერესებს.

ჩვენი ხაზი ჩინეთის მიმართ კარგად არის ცნობილი, იგი მკაფიოდ განსაზღვრა პარტიის XXV ყრილობამ, და ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად განვახორციელებთ მას.

ამხანაგებო! სოციალურ პროგრესში ლენინს უდიდესი წვლილი იყო დაუღალავი საქმიანობა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძალის — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ჩამოყალიბებისათვის. ჩვენ შეგვიძლია გულდაჯერებით ვილაპარაკოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში მმართველი მარქსისტულ-ლენინური პარტიების ახალ დიდ მიღწევებზე. სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების პირობებში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ბურჟუაზიული წყობილების კრიზისის გაღრმავების ვითარებაში მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტებმა შესძლეს არსებითად გაეძლიერებინათ თავიანთი პოზიციები. ნეოკოლონიალიზმისა და საშინაო რეაქციის წინააღმდეგ ძნელ ბრძოლაში იწრთობიან ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოების კომუნისტური პარტიები.

მაგრამ, არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ რაც უფრო ერყევა პოლიტიკური პოზიციები მონოპოლისტურ კაპიტალს, რაც უფრო ემატებათ გავლენა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მით უფრო გაწაფულ და მზაკვრულ ხრიკებს მიმართავენ კომუნიზმის მტრები, რომლებიც ცდილობენ დაქსაქსონ ანტიიმპერიალისტური ძალები, გათიშონ და ძირი გამოუთხარონ კომუნისტურ მოძრაობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოძმე პარტიებთან ერთად განუხრელად ილაშქრებს მსოფლიოს კომუნისტების ერთიანობის შესუსტების, კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების კომპარტიების ერთმანეთისადმი დაპირისპირების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის იმ კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციის იდეებსა და დასკვნებს, რომლებმაც ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი თავიანთი ერთგულება დაადასტურეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ დაუჭერს მხარს კომუნისტური რიგების შეკავშირებას, მოძმე პარტიების ნებაყოფლობით, თანასწორუფლებიან თანამშრომლობას, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში მთელი დემოკრატიული, პროგრესული ძალების ერთიან მოქმედებას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, რომელიც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა აიმართეს, იყო, არის და მუდამ იქნება ჩვენი ძლევამოსილი დროშა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში თანამიმდევრულად ვლინდება ლენინიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური პროგრესისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ორგანული ერთიანობა. ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ომების იმპერიალისტური პოლიტიკა „გამოწვევს ადამიანთა საზოგადოების არსებობის თვით პირობათა ძირის გამოთხრას“ (თხზ. კრებ. ტ. 27, გვ. 514). ლენინის ამ გაფრთხილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა. სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფა, მათ შორის საომარ შეტაკებათა თავიდან აცილება ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს შეესაბამება. ამასთან, ცხოვრება ყოველდღე აოსტურებს ლენინის დებულებას, რომ მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ მილიტარიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ პროგრესის ძალების მტკიცე ბრძოლამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით უდიდეს მუშაობას ეწევიან მშვიდობის განმტკიცებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების, მთელი მშვიდობისმოყვარე, რეალისტურად მოაზროვნე ძალების მეცადინეობის შედეგად მივაღწიეთ „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნებას, შევძელით ოავიდან აგვეცილებინა მსოფლიო ომის საფრთხე. მშვიდობა უფრო მტკიცე და საიმედო გახდა. სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატება, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების კიდევ უფრო ფართოდ დამკვიდრება უდაოდ მოწმობს, თუ რაოდენ ბევრს მივაღწიეთ საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში ურთიერთგაგებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მხრივ თანმობისადმი მისწრაფების შემწეობით.

ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ იბრძვიან, რათა თანმიმდევრულად იარონ წინ ამ გზით. შეასრულონ სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა. მსოფლიოს სოციალიზმს საიმედოდ უპყრია ხელთ საგარეო-პოლიტიკური ინიციატივა. ალბათ გაზვიადებად არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიტანეს კონსტრუქციული წინადადებანი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, მშვიდობის განმტკიცებისათვის. გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის ბრძოლის ძირითად საკითხებზე.

დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია პროფკავშირების XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, სადაც მოცემულია ახალი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს შეიარაღების შეზღუდვას, განიარაღებას, ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამართლიან, მშვიდობიან მოწესრიგებას, მშვიდობის განმტკიცებასა და ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა თანამშრომლობის განვითარებას. პროგრესული საერთაშორისო საზოგადოებრიობა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი იჩენენ დიდ ისტორიულ პასუხისმგებლობას თანამედროვეობის კარდინალურ საკითხში: როგორ გავხადოთ მშვიდობა ნამდვილად მტკიცე და ურღვევი, გადავაქციოთ დაძაბულობის შენელება უნივერსალურ და შეუქცევად პროცესად, უზრუნველვყოთ მისი გადაზრდა სახელმწიფოების სტაბილური, ნაყოფიერი მშვიდობიანი თანამშრომლობის სისტემად.

ამ მიზნების მიღწევის გზა, რა თქმა უნდა, არც ისე მარტივი და ადვილია. დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი კვლავ ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება, გაართულონ ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, უწინარეს ყოვლისა კი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეები იმოწმებენ მათ მიერვე მოგონილ „საბჭოთა საფრთხეს“ და ცდილობენ ხელი შეუშალონ შეიარაღების შემცირების, მათ შორის სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მომწიფებულ დონისძიებათა განხორციელებას. ისინი ყოველნაირად აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები, რომლებიც საკადრის პასუხს სცემენ რეაქციისა და აგრესიის ძალების ხრიკებს, თანამიმდევრულად ადგანან საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაჯანსაღების, საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფის კურსს. ასეთია ჩვენი ხაზი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაშიც. როგორც ცნობილია, წინა წლებში ამ ურთიერთობაში პოზიტიური ძვრები მოხდა. მაგრამ შარშან მისი განვითარება გარკვეულწილად შეჩერდა, თანაც ეს ჩვენი მიზეზით არ მომხდარა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ამასწინანდელმა მოსკოვის მოლაპარაკებამ გვიჩვენა, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიც არის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა, ამერიკის მხარემ ცალმხრივი მიდგომა გამოიჩინა, რაც მიზნად ისახავს შეერთებული შტატებისათვის უპირატესობათა შექმნას საბჭოთა კავშირის უშიშროების საზიანოდ. ეს ნიშნავს 1974 წელს ვლადივოსტოკში მიღწეული მორიგების რევიზიას. გასაგებია, რომ ამერიკის მხარის ასეთი არარეალისტური და, პირდაპირ რომ ვთქვათ, უსაფუძვლო გეზის შედეგად ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ არ არის მიღწეული რაიმე პროგრესი.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი აპირებს კვლავაც გულმოდგინედ ეძებოს საკითხის ურთიერთმისაღები გადაწყვეტის გზები მოქმედ შეთანხმებათა და წინათ მიღწეულ მორიგებათა საფუძველზე, მათ შორის, და უწინარეს ყოვლისა, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებაზე გადასვლის დარგში. ამ დარგში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში შემდგომი პროგრესი პოლიტიკურ რეალიზმს მოითხოვს. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ თანასწორობისა და მხარეთა ერთნაირი უშიშროების, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის ზუსტად დაცვის საფუძველზე შენდებოდეს. თუ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები კონსტრუქციულად, პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამას, მოლაპარაკებას შეიძლება და კიდევაც უნდა მოჰყვეს პოზიტიური შედეგები ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამხანაგებო! ან უკვე თითქმის მესამედი საუკუნეა საბჭოეთი მშვიდობის პირობებში ცხოვრობს და შრომობს. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის უდიდესი მიღწევაა. ჩვენ კვლავაც ყველაფერს ვიღონისძებთ ახალი ომის საფრთხის აღსაკვეთად და მშვიდობის განსამტკიცებლად. ამასთანავე, სხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის განხორციელებისას ჩვენ დღეიდაგ ვზრუნავთ სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროებისათვის. ჩვენი სამშობლოს ძლიერება უმლეველია. სსრ კავშირის მამაცი შეიარაღებული ძალები საიმედოდ იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას!

ძალთა თანამედროვე თანაფარდობის პირობებში იმპერიალიზმს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ომის გზით მიაღწევს თავის მიზნებს სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ რეაქციის ძალები, დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეები უმაგალითო აქტიურობას იჩენენ იდეოლოგიის სფეროში. ისინი მთავარ ყურადღებას უთმობენ ძირგამომთხრელ პროპაგანდისტულ კამპანიათა ორგანიზაციას. ცდილობენ დააკნინონ იდეოლოგიური დივერსიები სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ყოველნაირად გაუტეხონ სახელი სოციალიზმს, დააკნინონ მისი მაგალითისა და იდეალების მიმზიდველი ძალა.

მაგრამ როგორადაც უნდა ცდილობდნენ ბელი სამყაროს იდეოლოგები შეგნება მოუწამლონ ადამიანებს, ისტორიულ შეტევაზე ჩვენი რევოლუციური იდეოლოგიაა გადასული. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები უძლეველია. ეს იდეები ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში ვრცელდება, შეგნებული ისტორიული შემოქმედების სურვილს აღუძრავს ხალხის მასებს. ეს სულაც არ არის რაღაც მითიური „რევოლუციის ექსპორტი“, „სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია“, რასაც ცილისმწამებლურად ჩვენ გვაბრალებენ მტრები. ჩვენი იდეოლოგიის ცხოველმყოფელი ძალის წყარო ის არის, რომ იგი ეყრდნობა ნამდვილად მეცნიერულ თეორიას, რომელიც მშრომელთა უღრმეს მისწრაფებებს გამოხატავს, კაცობრიობის წინაშე მდგომი საარსებო პრობლემების გადაწყვეტის გზებს გვისახავს. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, ეროვნული ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის სრული და საბოლოო ლიკვიდაცია, ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა, მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი რესურსების გონივრული და გეგმაზომიერი გამოყენება ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, დემოკრატიის აყვავება, კლასობრივ განსხვავებათა დაძლევა, პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება — ასეთია ოპტიმისტური პერსპექტივა, რომელსაც კომუნისტები მსოფლიოს სთავაზობენ.

რას უპირისპირებენ ამ ღრმად ჰუმანისტურ პროგრამას ბურჟუაზიული იდეოლოგები? 50-იანი წლების დამლევს და 60-იანი წლების დამდეგს, როცა კაპიტალიზმმა დროებით დაიჩქარა თავისი ეკონომიკური ზრდა, „ინდუსტრიული“ და „მომხმარებლური“ საზოგადოების მოდური აპოლოგეტური კონცეფციების ავტორები ირწმუნებოდნენ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი კაპიტალიზმის პრობლემებს ავტომატურად წყვეტსო. ბოლო წლებში კაპიტალიზმს ახალი კრიზისული ხანა დაუდგა. უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე წარმოების ყველაზე დიდი დაქვეითება და ამის შემდეგ ხანგრძლივი მოდუნება, ქრონიკული უმუშევრობის ზრდა, რომელმაც მრავალი მილიონი მშრომელი მოიცვა, განუწყვეტელი ინფლაცია, სავალუტო კრიზისი, გარემოს კატასტროფული გაჭუჭყიანება, კორუფცია და პოლიტიკური სკანდალები — ყოველივე ეს აძლიერებს საზოგადოებრივ პროტესტს, იწვევს კაპიტალისტური წესწყობილებით მასობრივ იმედგაცრუებას. ასეთ პირობებში ბურჟუაზიის იდეოლოგები სულ უფრო ხშირად ხატავენ გამოუვალი ჩიხების სურათს და ფაქტიურად კაცობრიობის განვითარების მთელი თვალსაწიერი პერსპექტივით აზოგადებენ კაპიტალიზმს მანკიერებებს, მის უუნაროებას — გადაწყვიტოს მომწიფებული გლობალური პრობლემები.

ეს იმედგადაწურული პროგნოზები, რომლებიც წარმავალი კლასის სოციალურ პესიმიზმს გამოხატავს, კაპიტალიზმის ისტორიული განწირულობის ერთ-ერთი დადასტურებაა. მაგრამ ისინი გარკვეულ პოლიტიკურ ანგარიშსაც ფარავენ, რადგან დამიანებს თითქოსდა „ეკონომიკური“ ამოცანებენ, ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ ჩაუკლან საზოგადოების სოციალური განახლების შესაძლებლობის რწმენა, დაუმტკიცონ რევოლუციური ბრძოლის ამაოება. თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეალი ისეთი მსოფლიო წყობილებაა, რომლის დროსაც სამუდამოდ დამკვიდრდებოდა უფსკრული ერთ მუჭა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულ მრავალმილიონიან მასებს შორის.

იმპერიალიზმის სულიერი სიღატაკით, მისი იდეოლოგიისა და მორალის კრიზისით, იმით, რომ არ შეუძლია ხალხის შთამაგონებელი იდეების წამოყენება, გამოწვეულია ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგეების მისწრაფება თავი აარიდონ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებათა დაპირისპირებას, შეცვალონ ბრძოლა „ფსიქოლოგიური ომის“ იდეით, ძირგამომთხრელი საქმიანობით, რაც შეუთავსებელია სახელმწიფოთა ნორმალურ ურთიერთობასთან, დაძაბულობის შენელების სულისკვეთებასთან.

სწორედ ასე იქცევიან პროვოკაციულ-დემაგოგიური კამპანიის ორგანიზატორები, რომელიც „სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დარღვევის“ მოგონილი საბაბით გააჩაღეს დასავლეთში. ამასთან საქმე ჩვენს შინაურ ცხოვრებაში აშკარა ჩარევის ცდამდე, იმ ცალკეულ გარეწართა, დამქაშთა და უცხოეთის პროპაგანდისტული და ჯაშუშური ცენტრების აგენტთა ოფიციალურ წახალისებამდეც კი მიდის, რომელთა ერთგვარ „შინაურ ოპოზიციად“ გასაღებასაც ამაოდ ცდილობს ბურჟუაზიული პროპაგანდა. საბჭოთა ხალხი, მოძმე ქვეყნების ხალხები, ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და სოციალიზმის საქმე, გულისწყრომითა და ზიზღით უარყოფენ ამ პროვოკაციულ აურზაურს.

ჯერ კიდევ ლენინის დროს ბურჟუაზიასა და მის მომხრეებს არაერთხელ დაუბრალებიათ ჩვენთვის ეგრეთ წოდებული „თავისუფლებათა დარღვევა“, ის, თითქოს ბოლშევიკებს „ხელი აეღოთ დემოკრატიაზე“. „...თქვენი თავისუფლება, ბატონო ინგლისელებო, ფრანგებო, ამერიკელებო, — უპასუხებდა მათ ვლადიმერ ილიას ძე, — ეს არის მოტყუება, როცა ის ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას. თქვენ დაგავიწყდათ წვრილმანი, ბატონო ცივილიზებულნო. დაგავიწყდათ, რომ თქვენი თავისუფლება ჩაწერილია ისეთ კონსტიტუციაში, რომელიც **აკანონებს კერძო საუთრებას**. აი რაშია საქმის არსი“. (თხზ. კრებ., ტ. 29, გვ. 408).

ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი პოლიტიკური ფარსები, რომლებიც „ადამიანის უფლებებისათვის“ იმპერიალისტთა ახლანდელ პირფერულ „ზრუნვას“ შეედრებოდეს. ეს „ზრუნვა“ სამარცხვინო პირფერობაა, იმის ცდაა, რომ ანტისოციალისტური ცილისწამების კვამლის ფარდით დამალონ იმპერიალიზმის არასახარბიელო სინამდვილე, მისი ექსპლოატაციისა და ძარცვის ეკონომიკური სისტემა, მისი ომის, ტერორისა და ძალმომრეობის პოლიტიკა, ადამიანის ელემენტარულ უფლებათა საზარელი დარღვევები. არა, ბატონებო, თქვენ ვერ გვასწავლით თავისუფლებასა და დემოკრატიას! ადამიანის უფლებებისათვის ნამდვილი ბრძოლა — ეს არის ბრძოლა ყველა სახეობის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, რასიზმისა და ფაშიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყოველგვარი ნაირსახეობის წინააღმდეგ, იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ.

ვხელმძღვანელობთ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ჩვენ კვლავაც აქტიურად ვაძლიერებთ იმპერიალიზმის პოლიტიკასა და იდეოლოგიას, საკადრის პასუხს გავცემთ ანტიკომუნიზმსა და ანტისაბჭოურობას, ფართო პროპაგანდას გავუწევთ რეალური სოციალიზმის ძიღწევებს, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისა და თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ჩვენი პარტია თანამედროვეობის მთელ რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ძალებთან ერთად მუდამ იბრძოდა და კვლავაც იბრძოლებს საყოველთაო მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ქვეყანას ლენინური გზით. ოქტომბრის სამშობლოს მონაპოვრები და მიღწევები ამ გზაზე ჩვენი დიდი ხალხის ღირსია.

რევოლუციურობა, მეცნიერულობა, თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო ერთიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — ლენინიზმის ყველა ეს ძირეული თვისება შეისისხლხორცა ჩვენმა პარტიამ, ისინი განსაზღვრავს მისი საქმიანობის ხასიათსა და შედეგებს.

ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკაში უდიდესი წვლილი შეიტანა სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც პარტიასა და ხალხს გრანდიოზული, შთაგონებული, უღრესად პასუხისმგებლური მუშაობის პერსპექტივა დაუსახა. საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შემოქმედებითს შრომაში ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის მკაფიოდ გამოიხატება ლენინის პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა. ეს ერთიანობაა ჩვენი ახალი გამარჯვებების საწინდარი.

გაუმარჯოს კომუნისტური საზოგადოების მშენებელ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდი ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს მარქსიზ

ვიზიტი დამთავრდა

(დასასრული)

გამცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს დედაქალაქის მმართველთა წარმომადგენლები.

გამგზავრების წინ ჰაფეზ ასადმა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— მოხარული ვართ, რომ სსრ კავშირში ვიზიტის დამამთავრებელ ეტაპზე შევძელით გვენახა მშვენიერი, ძველი ქალაქი თბილისი. აღეიჭნებოდნენ თქვენი ვიზიტი აქ მეტისმეტად ხანმოკლეაო. მაგრამ ჩვენ ძალიან მოგვეცა შესაძლებლობა შევხვედროდით ქართველი ხალხის წარმომადგენლებს. ისევე როგორც შეეხვედთ უკრაინელი ხალხის წარმომადგენლებს. ეს თავისთავად სასიხარულოა ჩვენთვის, რადგან ჩვენს მეგობრებად მიგვაჩნიხართ, როშლებიც მუდამ გვსურდა უშუალოდ გაგვეცნო. ჩვენ ბევრი წაგვიკითხავს და გვსმენია თქვენს ქვეყანაზე და გიცნობთ სირიაში მომუშავე თქვენი ხალხის წარმომადგენლებისაგან.

ჩვენი აზრით, თქვა შემდეგ სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, უშუალო კონტაქტები ხელს უწყობს სახელმწიფოთა და ხალხთა მყარი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ცნობები, რომლებიც თქვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს მივიღეთ, და ის, რაც საკუთარი თვალით ვნახეთ, მოწმობს საქართველოს დიდ მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის — დარგში. ჩვენ დაგინახეთ ქართველი ხალხის დიდი ცხოველმყოფელი ძალა.

სირიასა და თქვენს რესპუბლიკას შორის, თქვა შემდეგ ჰაფეზ ასადმა, უძველესი დროიდან ისტორიული ურთიერთობა არსებობს. ახლაც გვსურს გავდოთ კიდევ ერთი მეგობრობის ხიდი, რომელიც ჩვენს ქვეყანას თქვენთან დააკავშირებს.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც სირიელ ხალხს უწევს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოფნის დროს მისი დელეგაციის წევრები მუდამ გრძნობდნენ მათდამი საბჭოთა ადამიანების მეგობრულ დამოკიდებულებას. ეს, თქვა ჰაფეზ ასადმა, ჩვენს გულში ყველაზე ღრმა კვალსა და საუკეთესო მოგონებებს დატოვებს.

* * *

წასვლის წინა დღეს ჰაფეზ ასადი გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაგ ადგილებს, ეწვია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს. სპატიო სტუმართან ერთად იყვნენ ე. ა. შეკარდნაძე, ზ. ა. პატარიძე, პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კოკკაძე.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა ზ. ა. ლომიძემ სტუმრებს გააცნო სასახლის მუშაობა ბავშვთა სკოლაგარეშე აღზრდისათვის, მათი შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისათვის.

ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად დიდი კონცერტი გამართეს.

ჰაფეზ ასადმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა, რომ აღტაცებულია ნორჩი მომღერლების, მუსიკოსების, მოცეკვავეების ნიჭით. (საქინფორმი).

მოქმე სოციალისტური ქვეყნების კომპოზიტორები თბილისში

ეძღვნება დიად თარიღს

ბუშინ ქართველ მუსიკოსებს, კომპოზიტორებსა და მუსიკისმცოდნეებს შეხვედრა ქონდათ თავიანთ კოლეგებთან მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან. თბილისის კინოსახლში გაიმართა სჯა-ბაასი თემაზე: „ოქტომბრის იდეების ბანხარიცმლება მუსიკაში". ეს საინტერესო და სასარგებლო ღონისძიება დაიწყო მოხკოში საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის თაოსნობით და გაგრძელდა თბილისში.

შეხვედრა გახსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გაძეგრების პირველმა მდივანმა, მუსიკათმცოდნე გ. ორჯონიკიძემ. მან ჟტუმრებს მოკლედ უამბო ქართული იუსიკის წარსულსა და აწმყოზე, შეეხო იმ მთავარ მომენტებს, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრებისათვის.

უნგრელმა მუსიკათმცოდნე ფ. იშპანმა ილაპარაკა უნგრული მუსიკისა და საქართველოსა და უნგრეთის კულტურული ურთიერთობის შესახებ, იმაზე, თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობს უნგრეთში ქართული საბავშვო მუსიკის ღღეები.

დღევანდელი მსოფლიოს ხალხთა დემოკრატიულ საწყისებზე დაარსებულის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა მუსიკა, ამბობს ქართველი მუსიკათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პ. ხუმუა.

ოქტომბერი ჩვენი საერთო დღესასწაულია, ამბობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი ვ. ლესერი. გერმანელ კომპოზიტორთა ვალია ეს დიდი ოვლენა სათანადოდ ასახონ თავიანთ ნაწარმოებებში.

ვიეტნამელ ხალხთან ერთად იყო განსაცდელის ჟამს საბჭოთა ხალხი, ამბობს ვიეტნამის კომპოზიტორთა კავშირის გენერალური მდივანი დო ნიუანი და დღეს, დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავს ვიეტნამელი ხალხი ისევივე დიდი აღფრთოვანებით ხვდება, როგორც საკუთარ ერგენულ დღესასწაულს. ვიეტნამელმა კომპოზიტორებმა ამ თარიღისათვის უკვე შექმნეს არაერთი ნაწარმოები.

„ქართული მუსიკა სწრაფად ვითარდება, ამბობს მოსკოველი მუსიკათმცოდნე პროფესორი ი. ნესტევი, იგი რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის საზღვრებსაც გასცდა...

პროფესორმა ა. შავერზაშვილმა ილაპარაკა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო კონტაქტების შესახებ ბუდაპეშტის, ვაიმარისა და პრაღის კონსერვატორიებთან ურთიერთობის მაგალითზე.

მონგოლეთის მუსიკალური კულტურის შესახებ ინფორმაციული ხასიათის მოხსენება გააკეთა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ გონჩიგსუმლამ.

სტუმრებმა ინტერესით მოისმინეს ქართველი მუსიკათმცოდნეების გ. ტორაძის, ე. მაჭავარიანის სიტყვები.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის პრაქტიკული ხასიათის ზეწოდადებას დამსწრენი მოწონებით შეხვდნენ.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა გ. ორჯონიკიძემ.

ქართველ და მოძმე დემოკრატიული ქვეყნების მუსიკოსთა შეკრებაი მოსაწვლეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

(„კომუნისტის" კორ.).

* * *

სურაბუზე: მარცხნიდან — ვიეტნამის კომპოზიტორთა კავშირის გენერალური მდივანი ლო ნიუანი, კუბის მსახიობთა და მხატვართა კავშირის მუსიკალური სექციის თავმჯდომარის მოადგილე ედუარდო რამოსი, კუბის მსახიობთა და მხატვართა კავშირის მუსიკალური სექციის თავმჯდომარე ხოე ფერნანდეს ლიო, პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის გენერალური მდივანი ვლადისლავ სლოვინსკი, პოლონელი მუსიკათმცოდნე ლეონ ფაროკოვიჩი, მონგოლეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გონჩიგსუმლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი გერდ ნაჩინსკი, ვიეტნამის ფილარმონიის დირექტორის მოადგილე ტონგ ბანგი, რუმინეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი ფრანციშკა იშპანი და უნგრეთის მუსიკოსთა პრეზიდიუმის წევრი შანდორ სოკოლაი.

ს. კილაძის ფოტო.

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის **„საქართველოს სოფლის მეურნეობის"** მორიგი, მეოთხე ნომერი.

„საქართველოს ბუნება" № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა სამჭოს სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პიონიერთა ცენტრალური საბჭოს ბიუროს და საქართველოა ბიოლოგიური ინსტიტუტის ბიულეტენ „ბუნების დაცვა" ბიულეტენ „ბუნების დაცვა" ბიულეტენ „ბუნების დაცვა"